

შპს „ვებიზ ინტერნეიშენელი“
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4


1 შესავალი	5
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.	8
4 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში.	8
5 ძირითადი საშუალებები.	9
6 არამატერიალური აქტივი.	10
7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8 სავაჭრო ვალდებულებები.....	11
9 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11
10 სხვა ნასესხები თანხები.....	11
11 საწესდებო კაპიტალი.	11
12 შემოსავალი	12
13 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	12
14 ანგარიშგების შემდგომი მოვლენები.....	13

შპს „ვებიზ ინტერნეიშენელი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	398,704	12,178
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,686,578	1,688,713
სხვა მოკლევადიანი აქტივები		12,612	-
სხვა არამატერიალური აქტივები	6	1,630,593	-
ძირითადი საშუალებები	5	364,446	250,136
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	4	97,820	97,820
სულ აქტივები		4,190,753	2,048,847
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	503,859	286,492
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	799,463	99,701
საგადასახადო ვალდებულებები		-	43,785
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	2,902,397	2,046,885
სულ ვალდებულებები		4,205,719	2,476,863
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,363,457	487,052
(დაგროვილი ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება		(1,378,423)	(915,068)
სულ საკუთარი კაპიტალი		(14,966)	(428,016)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,190,753	2,048,847

დირექტორი:

ლევან ლობჯანიძე (პ.ნ 35001023586)



26 სექტემბერი 2023

შპს „გეზიზ ინტერნეიშენალი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება

ერთეულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
მომსახურების გაწევიდან სხვა შემოსავლები	12	17,782,869 -	9,886,930 35,587
საერთო მოგება		17,782,869	9,922,517
დასაქმებულთა ანაზღაურება		(12,658,975)	(8,051,708)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(70,872)	(20,932)
საპროცენტო ხარჯი		(280,695)	(90,148)
იჯარის ხარჯი		(506,989)	(531,804)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(4,728,693)	(1,716,747)
სულ საოპერაციო ხარჯები		(18,246,224)	(10,411,339)
საოპერაციო მოგება		(463,355)	(488,822)

შპს „ვებიზ ინტერნეიშენელი“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	487,052	(915,068)	(428,016)
			-
საწესდებო კაპიტალი	876,405		876,405
გაუნაწილებელი მოგება		(463,355)	(463,355)
სულ საკუთარი კაპიტალი 31 დეკემბერი 2022წ.	1,363,457	(1,378,423)	(14,966)

შპს „ვებიზ ინტერნეიშენელი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		17,655,798	8,697,960
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(11,352,803)	(7,352,968)
გადასახადები		(908,822)	(489,613)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(4,797,514)	(2,315,194)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები/ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)		596,659	(1,459,815)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვები		(156,999)	(265,744)
არამატერიალური აქტივის შექმნა		(1,630,593)	-
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,787,592)	(265,744)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
სესხების მიღება		11,780,718	6,020,571
მიღებული სესხების დაფარვა		(10,617,671)	(4,241,966)
დამფუძნებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		617,740	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,780,787	1,778,605
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(203,328)	(42,853)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	3	386,526	10,193
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		12,178	1,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	3	398,704	12,178

1 შესავალი

შპს ვებიზ ინტერნეიშენელი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2018 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შექმნილია საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით: 405259143. კომპანიის იურიდიული მისამართია - ვაკე-საბურთალო, ყიფშიძის შესახვევი 15, სართული 3, თბილისი, საქართველო.

საქმიანობის ძირითადი სფერო

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფების, ვებ გვერდების/პლატფორმების განვითარება, ინოვაციური და ტექნოლოგიური სტარტ აპ პროექტების განვითარება და მხარდაჭერა; კომპანიას 2021 წლის თებერვლიდან აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. მისი ძირითადი მომხმარებლები არიან არარეზიდენტი პირები. კომპანია, მისი საქმიანობიდან გამომდინარე აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ და ადგილობრივ წამყვან ტექნოლოგიურ კომპანიებთან, მონაწილეობას იღებს საქართველოში გამართულ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტექნოლოგიურ კონფერენციებში (მაგ: Startup. Grind).

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ქართულ ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად. პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობად და რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს კომპანიის კუთვნილ სს“თიბისი ბანკის“ ანგარიშიზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა გამოიანგარიშება კლებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ცხრილში:

წელი

კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და მოწყობილობები	5

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს საწარმოში შექმნილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის დანახარჯების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეული იყო ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად. კაპიტალიზებადი ხარჯი ასევე მოიცავს განვითარების ჯგუფში შემავალი პერსონალის სახელფასო ხარჯებს და შესაბამის ზედნაღებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში: 10 წელი.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხორციელდება მაშინ, როდესაც კრედიტორმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები და აღირიცხება ხელშეკრულებაში მითითებული გარიგების ფასით.

ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, დამატებული დარიცხული პროცენტი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის საერთაშორისო სტატუსიდან გამომდინარე.

მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში 5%-ის ოდენობით (საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდები არ იბეგრება გადახდის წყაროსთან, ამიტომ მოგებით დაბეგვრის

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემთხვევაში წმინდა გაცემული დივიდენდი აიგროსება 5%-ით, გაიყოფა 0.95-ზე).

მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადოკოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას დაუყოვნებლივ დაბეგრილია მოგების გადასახადით.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახადელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ანაგრაიმ-ფაქტურის მიღებისას.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. შემოსავლის და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ქართულ ლარში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული შესაბამისი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება გარიგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსებით. ამ ოპერაციებიდან წარმომდგარი მოგება და ზარალი აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საბალანსო უწყისის თარიღის გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი (2021 წ.: 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი); 1 ევრო = 2.8844 ლარი (2021 წ.: 1 ევრო = 3.5040 ლარი).

იჯარის აღრიცხვა კომპანიის, როგორც იჯარის მიმღების მიერ.

კომპანია იჯარას აღრიცხავს ყოველი თვის გადახდების აღიარებით საოპერაციო ხარჯად დარიცხვის მეთოდით.

თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები.

ხელფასების, შვებულება და ბიულეტენის, პრემიების და თანამშრომლებზე გაცემული არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხდება იმ თვეში რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანიის ფულადი სახსრები შეადგენს სს“თიბისი“ ბანკში მის კუთვნილ ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2022წ	31 დეკემბერი 2021 წ
მიმდინარე ანგარიშები "BB" რეიტინგის მქონე ბანკებში	398,704	12,178
სულ ფულადი სახსრები	398,704	12,178

4 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში.

კომპანიას ინვესტიცია (არამატერიალური აქტივის სახით) განთავსებული აქვს შპს ინფლუნს ჯორჯიაში (ს.კ 405194720). ინვესტიცია აღიარებულია გარიგების ფასით ვინაიდან შპს „ინფლუნს ჯორჯია“ წარმოადგენს სტარტ აპ კომპანიას და ჯერ კიდევ არის განვითარების ეტაპზე. ინვესტიციის ღირებულება გარიგების ფასით შეადგენს 97,820 ლარს.

5 ძირითადი საშუალებები.

კომპანიის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა.

ერთეულ ლარში	კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობი- ლობები
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის		
მდგომარეობით	265,431	24,403
დაგროვილი		
ცვეთა	(37,570)	(2,128)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის	227,861	22,275
ერთეულ ლარში	კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობი- ლობები
2022 წლის		
შესყიდვები	182,334	5,148
2022 წლის ცვეთის ხარჯი	(61,875)	(4,560)
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის		
მდგომარეობით	447,765	29,551
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის		
მდგომარეობით	(105,725)	(7,145)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის	342,040	22,406

6 არამატერიალური აქტივი.

არამატერიალურ აქტივს წამოადგენს კომპანიის შიგნით შექმნილი კომპიუტერულ პროგრამული უზრუნველყოფა. არამატერიალური აქტივის შექმნა და განვითარება მიმდინარეობდა 2022 წლის სრულ პერიოდში და დასრულდა 2022 წლის დეკემბერში. აქტივის გაუმჯობესებაზე ყოველდღიურად მუშაობს გარკვეული რაოდენობის თანამშრომლებისგან შემდგარი სპეციალური გუნდი.

პროგრამული უზრუნველყოფა ტესტირების ფაზაში იყო 2022 წელს და, შესაბამისად, ამორტიზაციის ხარჯი არ დაირიცხა.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2022წ	31 დეკემბერი 2021 წ
აქტივის შექმნის ხარჯები	1,630,593	-
დაგროვილი ცვეთა	-	-
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,630,593	-

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება კომპანიის მხრიდან გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი სახსრებისგან. მომსახურების საფასური რეგულირდება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და თვის ბოლოს კომპანიის მხრიდან მომზადებული ინვოისის შესაბამისად. რადგან კომპანიის მომხმარებლები წარმოადგენენ არარეზიდენტ პირებს და მომსახურების ანაზღაურება ხდება არარეზიდენტი ბანკების ანგარიშებიდან, მიმდინარე თვის ინვოისები ანაზღაურდება მომდენო თვის პირველ კვირაში რაც თვის ბოლო რიცხვით წარმოქმნის მოთხოვნებს კლიენტების მიმართ.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2022წ	31 დეკემბერი 2021 წ
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	1,686,578	1,688,713
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,686,578	1,688,713

8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებს წარმოადგენს მოწოდებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები, რომელიც შეადგენს 503,859 ლარს 2022 წლისთვის (2021 წელი: 286,492 ლარი).

9 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ შედგება გადასახდელი ხელფასებისა და პრემიებისგან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული არსებული ნაშთი ეკუთვნის 2022 წლის პერიოდს რომლის გადახდა მოხდა 2023 წელს.

10 სხვა ნასესხები თანხები

სხვა ნასესხები თანხები შედგება დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან და საფინანსო ორგანიზაციისგან ნასესხები თანხებისაგან. გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი და სხვა პირობები რეგულირდება სესხის ხელშეკრულების შესაბამისად. კომპანიას ყველა სესხი მიღებული აქვს აშშ დოლარში. სესხის თანხა დარიცხულია და აღიარებულია დოლარში გადახდის დღეს არსებული 1 აშშ დოლარის ღირებულებით ეროვნული კურსის შესაბამისად. სესხის თანხის გადაფასება ხდება ყოველი თვის ბოლოს ლარსა და აშშ დოლარს შორის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსთა შორის სხვაობით, ხოლო საკურსო ზარალი/მოგება ასახულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

11 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება დამფუძნებლების მიერ კომპანიის განვითარებისთვის შემოტანილი ფულადი სახსრებისაგან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 487,052 ლარს ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,363,457 ლარს შეადგენს.

12 შემოსავალი

კომპანიის შემოსავლებს წარმოადგენ პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების შედეგად მიღებული თანხები.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2022წ	31 დეკემბერი 2021 წ
მომსახურების გაწევიდან	17,782,869	9,886,931
სხვა შემოსავლები	-	35,586
სულ შემოსავლები	17,782,869	9,922,517

13 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
პროფესიული მომსახურება	3,851,736	973,611
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	198,417	332,689
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	66,869	21,890
კურსთა შორის სხვაობის ხარჯი	64,304	47,616
ბანკის საკომისიო	36,410	25,453
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	510,957	315,488
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4,728,693	1,716,747

13 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

პროფესიულ მომსახურებებში იგულისხმება უცხოელი მაღალკვალიფიციური პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები.

მარკეტინგული ხარჯები წარმოადგენს როგორც ონლაინ პლატფორმებზე გაწეულ სარეკლამო ხარჯს ასევე უცხოელ მარკეტინგის სპეციალისტებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ დანახარჯებს, რადგან კომპანიის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია უცხოურ ბაზრებთან თანამშრომლობა.

14 ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დაფიქსირებულა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.